ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135.135220561**
თარიღი:**25/02/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ,,მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამის''დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის,

ე-პუნქტის, ,,ე.გ“ ქვეპუნქტის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს:

ა) მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ,,მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამა“ დანართი №1-ის შესაბამისად. (დანართი: 4 ფრ);
ბ) განცხადების ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად. (დანართი: 1 ფრ);
გ) ხელშეკრულების ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად. (დანართი: 1 ფრ);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის პროგრამის,,მესტიის მუნიციპალიტეტში მშენებარე და არსებული საცხოვრებელი სახლებისა და სვანური საცხოვრებელი სახლების (მაჩუბები) სახურავების რეაბილიტაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2018 წლის 21 ნოემბრის №55 განკარგულება.
3. აღნიშნული პროგრამის შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/